<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თენგიზ შეშელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ანზორ გელდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, თენგიზ შეშელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ანზორ გელდიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 2673
01.12.02.0
01.12.02.0
01.12.02.0

ანზორ გელდიაშვილი

(1983 – 2008)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლი, უმცროსი სერჟანტი, დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

ანზორ გელდიაშვილი 1983 წლის 4 სექტემბერს თბილისში დაიბადა. 164–ე სკოლა დაამთავრა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. 24 წლის კაპრალი ანზორ გელდიაშვილი 11 აგვისტოს გორში სამშობლოსთვის ბრძოლაში გმირულად დაეცა. რუსულ აგრესიას შეეწირა მშობლიურ მიწაზე.

ანზორ გელდიაშვილს გარდაცვალების შემდეგ სერჟანტის წოდება მიენიჭა. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.